თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი № 6

ქ. თერჯოლა 4 ივლისი 2023 წელი

სხდომას უძღვებოდა: კომისიის თავმჯდომარე თემურ ქოჩიაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. თემურ ქოჩიაშვილი, 2. დავით გოგბერაშვილი, 3. ნინო მახათაძე, 4. გოჩა ვერულაშვილი, 5. გრიგოლ გიორგაძე, 6. როლანდი მესხი, 7. ფრიდონ გვენეტაძე.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. მანუჩარ ფანჩულიძე, 3. რამინი რობაქიძე, 4. კობა კირკიტაძე.

კომისიის შემადგენლობა: 11 წევრი
დამსწრე წევრთა რაოდენობა : 7 წევრი
კვორუმი: 6 წევრი

დღის წესრიგი:

1. ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის № 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282317979 წერილი, 28.06.2023 წ);

/მომხს.: თ.ქოჩიაშვილი/

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ცვლილების ასახვის შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის №28-282316666 წერილი, 15.06.2023 წ).

/მომხს.: თ.ქოჩიაშვილი/

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის № 27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

დადგენილების პროექტი - 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილება გამოიწვია შემოსავლების გეგმის გაზრდამ და ხარჯვითი ნაწილის კორექტირებამ.

ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა გაიზარდა 201.0 ათასი ლარით და შეადგენს 28321.2 ათას ლარს.

საშემოსავლო ნაწილი გაიზარდა 201.0 ათასი ლარით. (გრანტი გაიზარდა 201.0 ათასი ლარით. ბარდუბნის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები).

ხარჯვითი ნაწილი შემცირდა სულ 313.0 ათასი ლარით. საკრებულოს დაფინანსება შემცირდა 50.0 ათასი ლარით (ხელფასები) და მერიის დაფინანსება შემცირდა 263.0 ათასი ლარით (ხელფასები).

ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა სულ 514.0 ათასი ლარით. სარეზერვო ფონდი გაიზარდა 10.0 ათასი ლარით. დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურის დაფინანსება გაიზარდა 200.0 ათასი ლარით. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება გაიზარდა 201.0 ათასი ლარით(ბარდუბნის საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები). საგამომცემლო საქმიანობა გაიზარდა 3.0 ათასი ლარით და სოციალური დაცვა გაიზარდა 100.0 ათასი ლარით.

აზრი გამოთქვეს: დავით გოგბერაშვილმა, გოჩა ვერულაშვილმა

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 20 დეკემბრის №27 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტი და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ თემურ ქოჩიაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ცვლილების ასახვის შესახებ ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: ნინო მახათაძემ, გრიგოლ გიორგაძემ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 7, წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: მოწონებულ იქნას თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებსა და გადასახდელებში ცვლილების ასახვის შესახებ ინფორმაცია და საკითხი განსახილველად გავიდეს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარე

თემურ ქოჩიაშვილი